საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 09 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №167/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- და -- -- 2018 წლის 18 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 9 ნოემბრის №167/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 9 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორების განცხადებით, მოსამართლემ სააპელაციო საჩივარი განსახილველად მიიღო 2016 წლის 23 ივნისს და საქმის განხილვა დაიწყო 5 თვის შემდეგ 2016 წლის 25 ოქტომბერს, რა დროშიც საქმის განხილვა ორჯერ დასრულდებოდა. საჩივრის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ გადაწყვეტილების მიღებას საქმის განსახილველად მიღებიდან მოანდომა 9 თვე, რაც საერთო სასამართლოებში საქმის განხილვის საერთო ვადის ტოლფასია.

საჩივრის ავტორები განმარტავენ, რომ მოსამართლემ მხარეების არაერთი განცხადების მიუხედავად დასაბუთებული განჩინება გადასცა სამი თვის დაგვიანებით.

საჩივრის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ მოსამართლემ საქმის განხილვისას აპელანტის სასარგებლოდ ბაჟის დაკისრების ნაწილი უყურადღებოდ დატოვა და -- -- ბაჟის დაკისრებაზე გადაწყვეტილებაში არ იმსჯელა, მხოლოდ მათ მიერ 2017 წლის 20 ივლისს წარდგენილი განცხადების შემდეგ ორი თვის დაგვიანებით 2017 წლის 6 სექტემბრის დამატებითი გადაწყვეტილებით დააკისრა ბაჟი.

საჩივრის ავტორები უთითებენ, რომ საკასაციო საჩივარი სასამართლოში -- -- წარადგინა 2017 წლის 8 მაისს, დაზუსტებული საკასაციო საჩივარი კი 2017 წლის 17 ივლისს, ხოლო მოსამართლემ ოთხი თვის შემდეგ გადააგზავნა საქმე საკასაციო ინსტანციაში.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2013 წლის 15 ნოემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. 2016 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა.

2016 წლის 30 მაისს სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში -- -- და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

2.2. 2016 წლის 10 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩვარს დაუდგინდა ხარვეზი და მის შესავსებად განესაზღვრა 10 დღის ვადა. 2016 წლის 23 ივნისის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებული იქნა განსახილველად.

2016 წლის 6 ივლისს მოპასუხე მხარემ წარადგინა სააპელაციო შესაგებელი.

2016 წლის 28 სექტემბრის განჩინებით დაინიშნა საქმის ზეპირი განხილვა 2016 წლის 25 ოქტომბერს. 2016 წლის 25 ოქტომბრის საოქმო განჩინებით მორიგების მიზნით სასამართლო სხდომა გადაიდო 2016 წლის 22 ნოემბერს.

სასამართლოს არასრული შემადგენლობის გამო საქმის განხილვა გადაიდო 2017 წლის 21 მარტს.

სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა -- -- სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება ნაწილობრივ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში; -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა; -- -- დაეკისრა -- -- სასარგებლოდ -- აშშ დოლარის გადახდა.

-- -- წარმომადგენლებმა 22.03.2017; 31.03.2017; 04.04.2017; 12.06.2017; 30.06.2017 წწ პერიოდებში მიმართეს სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების თხოვნით. 2017 წლის 12 ივლისის ხელწერილის მიხედვით მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა ჩაიბარა 2017 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების ასლი.

-- -- 2017 წლის 8 მაისს საკასაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში; 2017 წლის 17 ივლისს წარადგინა დაზუსტებული საკასაციო საჩივარი. 2017 წლის 6 სექტემბერს მიღებული იქნა დამატებითი გადაწყვეტილება სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე.

2017 წლის 14 სექტემბერს საქმე გადაიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

2.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული -- -- საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

2017 წლის 29 დეკემბრის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

2.4. 2018 წლის 23 მაისს -- -- დირექტორმა წარადგინა განცხადება სასამართლოში გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 29 მაისის განჩინებით -- -- განცხადება -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის განაწილვადების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

2.5. უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 ივნისის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. 2018 წლის 20 ივლისის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2.6. -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე -- -- წარმოებაში 2016 წელს იყო 120 საქმე, საიდანაც დაასრულა 37 საქმე (31%); ასევე არბიტრაჟის 214 საქმე, საიდანაც დაასრულა 144 საქმე (67%); ასევე 110 კერძო საჩივარი, საიდანაც დაასრულა 63 საქმე (57%). მოსამართლე -- -- წარმოებაში 2017 წლის პირველ ნახევარში იყო 148 საქმე, საიდანაც დაასრულა 50 საქმე (34%); ასევე არბიტრაჟის 159 საქმე, საიდანაც დაასრულა 91 საქმე (57%); ასევე 93 კერძო საჩივარი, საიდანაც დასრულდა 37 საქმე (40%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

3.1. -- -- და -- -- 2018 წლის 18 ივნისის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

3.2. -- -- და -- -- 2018 წლის 18 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით (მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა“ (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria; 50; Bock v. Germany, 35).

საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; 93; Tiece v. San Marino; 31; Suermeli v. Germany, 129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, 98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან, და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების 6.5. მუხლის მიხედვით მოსამართლემ ყველა სამოსამართლო ფუნქცია, მათ შორის გადადებულ გადაწყვეტილებათა მიღება უნდა განახორციელოს ეფექტურად, სამართლიანად და გონივრული სისწრაფით. ამასთან, „საქმეების სამართლიანად და გულდასმით განხილვის ვალდებულება არ ეწინააღმდეგება საქმეთა საკმარისად სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტის ვალდებულებას. მოსამართლის უპირველესი ვალია სამოსამართლო უფლებამოსილების შესრულება, რომელთა ძირითადი ელემენტიც არის საქმეების განხილვა და

გადაწყვეტილების გამოტანა. გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება მოსამართლემ უსაფუძვლო დაგვიანების გარეშე უნდა გამოაცხადოს.“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეფექტური სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს, სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეების შესაძლებლობას გამოიყენონ გასაჩივრების უფლება იმ მომენტიდან, როცა მათ შეუძლიათ ეფექტურად შეაფასონ სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიძლება დაარღვიეს მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსამართლე -- -- საქმე განსახილველად მიიღო 2016 წლის 23 ივნისს. აღნიშნული საქმე მოსამართლეს წარმოებაში ქონდა 9 თვის მანძილზე. საქმის მასალების მიხედვით დასტურდება, რომ სასამართლოს სხდომა ობიექტური მიზეზების არსებობის გამო (მორიგების მიზნით; არასრული შემადგენლობის გამო) გადაიდო ორჯერ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. ამავე კოდექსის 259[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 398-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივრის შემოსვლის შემდეგ სააპელაციო სასამართლო დაუყოვნებლივ გადაუგზავნის საკასაციო სასამართლოს საკასაციო საჩივარს და მთლიანად საქმეს.

მოსამართლემ განჩინება გამოაცხადა 2017 წლის 21 მარტს, საქმის მასალებით დგინდება, რომ მხარემ რამდენჯერმე მიმართა სასამართლოს განცხადებით გადაწყვეტილების ჩაბარებასთან დაკავშირებით, თუმცა დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარემ ჩაიბარა 2017 წლის 12 ივლისს, დაახლოებით 2 თვის და 22 დღის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ თვალსაზრისით, რომ მხარეს მიეცეს შესაძლებლობა გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ 2017 წლის 21 მარტის განჩინება გაასაჩივრა საკასაციო წესით. შესაბამისად, დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის დაგვიანებით ჩაბარებას არ გამოუწვევია მოსარჩელის ან მოწინააღმდეგე მხარის საპროცესო უფლების შელახვა/შეზღუდვა, მიემართა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოსათვის.

ასევე, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ -- -- საკასაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2017 წლის 8 მაისს, ხოლო დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ, 2017 წლის 17 ივლისს წარადგინა დაზუსტებული საკასაციო საჩივარი, ხოლო საქმე საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2017 წლის 14 სექტემბერს გადაიგზავნა. საჩივრის გადაგზავნის პერიოდმა საკასაციო საჩივრის მიღებიდან შეადგინა 4 თვეს, რაც ნაწილობრივ გამოიწვია დასაბუთებული გადაწყვეტილების დაგვიანებით მომზადებამ და ასევე დამატებითი გადაწყვეტილების მიღებამ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება, ხოლო ამავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, თუმცა მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩადენისათვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლის, სტატისტიკის, აღნიშნული საქმის მოსამართლის წარმოებაში ყოფნის პერიოდის და განსახილველ საქმესთან მიმართებაში მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების შეფასების მიხედვით, აღნიშნული გარემოებების ერთობლიობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად არ ქმნის საკმარის საფუძველს დისციპლინური დავნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 9 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 11 წევრთაგან 11 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №167/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი